პაპავას ბიუჯეტი და მთავრობის პასუხები არ მოსწონს

„ასეთ პასუხში ეკონომიკის ფაკულტეტის პირველკურსელი ორს მიიღებდა“

გაზეთი “მთელი კვირა”, 31 დეკემბერი, № 355, 2007

2008 წლის ბიუჯეტის პროექტი პარლამენტმა თითქმის ერთხმად დაამტკიცა. ერთად-ერთი ლადო პაპავა აღმოჩნდა, რომელიც ბიუჯეტის მთავრობისეულ დაგეგმვას არარეალურად მიიჩნევს და, რაც მთავარია, მთავრობას „ციფრებით მანიპულირებას საყვედურობს“. მთავრობა და უმრავლესობა კი თავს იმით იწონებს, პრემიერ-მინისტრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოს ისტორიაში პირველად მოხდა პროფიციტური ბიუჯეტის მიღება“.

პროფიციტი სულ 254 ათასია. მაგრამ, „თანხის სიმბოლურობა“ მთავრობას ხელს არ უშლის, წარმატება იზეიმონ. მთლიანი ბიუჯეტი 5 მილიარდ 705 მილიონი იქნება. სოციალური სფეროს დაფინანსებისთვის მიმდინარე წელს 803,085.9 ლარია განსაზღვრული, 2006 წელს კი ეს სფერო 617,216.7 ლარით დაფინანსდა. 2008 წლის ბიუჯეტის პროექტის პირვანდელ ვარიანტში სოციალურ საკითხებზე 786.2 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული. ამასთან, ჯანმრთელობის დაცვის სფეროზე გამოყოფილი ასიგნებები მომავალ წელს 269.7 მილიონი იქნება, რაც 30.2 მილიონი ლარით აღემატება ოქტომბერში შემუსავებულ 2008 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ თანხებს.

გარდა ამისა, ბიუჯეტში გათვალისწინებულია „იაფი სესხის“ პროგრამაც, რომლისთვისაც, საერთო ჯამში, 320 მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ყველაფერთან ერთად მთავრობას დაგეგმილი აქვს წლიური 8%-იანი ინფლაცია და მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-იანი ზრდა, ხუთ წელიწადში გასამმაგების პერსპექტივით, მთავრობის და უმრავლესობის აღტაცება გასაგები გახდება. მაგრამ, ექსპერტთა შეფასებით, ბიუჯეტის დაგეგვმაში მთავრობა „ციფრებით მანიპულირებს“, რაც, სულ ცოტა, იმას ნიშნავს, რომ საამაყო და საზეიმო არაფერია.

სესიაზე, ბიუჯეტით აღფრთოვანებული უმრავლესობის გვერდით ერთადერთი დეპუტატი, ვინც ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირა, ლადო პაპავა იყო. რატომ არ მოსწონს მას ბიუჯეტის პროექტი და რატომ არ აკმაყოფილებს მთავრობის პასუხი, ამ საკითხებთან დაკავშირებით „მთელი კვირა“ ლადო პაპავას ესაუბრა.

ლადო პაპავა: წინა წელთან შედარებით აშკარა წინსვლაა, რადგან ბიუჯეტის აშკარა მატებაა. თუმცა, კონკრეტულ ციფრებზე რომ ვილაპარაკოთ, ამისთვის საჭიროა შემდეგი კომენტარის გაკეთება, – 2008 წლიდან ბიუჯეტის შედგენა გადასულია ახალ მეთოდოლოგიაზე და არ არის მართებული, როდესაც 2007 წლის ციფრებს 2008 წლისას ვადარებთ. აუცილებელია ან ახალი ციფრების ძველ მეთოდოლოგიაზე გადაყვანა, ან ძველი ბიუჯეტების ახალ მეთოდოლოგიაში გადმოყვანა, რათა ციფრები შესადარებელი გახდეს. ეს რომ გასაგები იყოს, შემდეგ მაგალითს მოვიტან: მთავრობა ამაყობს იმით, რომ წარმოადგინა პირველი პროფიციტური ბიუჯეტი და ბიუჯეტის პროფიციტი არის 275 ათასი ლარი. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ბიუჯეტი პროფიციტურია არა იმიტომ, რომ ის მართლაც პროფიციტურია, არამედ იმიტომ, რომ მეთოდოლოგიაა შეცვლილი. სინამდვილეში ბიუჯეტი დეფიციტურია. გასული წლის მეთოდოლოგიით თუ შევხედავთ, დეფიციტი არის 180 მილიონ ლარზე მეტი. მთავრობა ციფრებით მანიპულირებს და ციფრები გამოყენებულია წარმატებების აღსანიშნავად და ნაკლებად არის ხაზგასმული, თუ ეს წარმატებები რითი არის განპირობებული.

„მ.კ“: თქვენ ბიუჯეტის დაგეგმვის რომელ მეთოდს უჭერთ მხარს?

ლ.პ: მე პირადად შინაარსობრივად ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლას მივესალმები, იმიტომ, რომ ნამდვილად ახლოს არის საერთაშორისო პრაქტიკასთან და ეს არის სწორი. მაგრამ, იმავდროულად ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლით მიღებული პროფიციტურობისას უნდა ითქვას, რომ ეს მიღწეული იქნა ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლის გამო. თორემ ბიუჯეტი ისევ დეფიციტურია.

ეს იყო ჩემი ერთ-ერთი შენიშვნა, რითაც მივმართე ფინანსთა მინისტრს, რადგან ის მანიპულირებდა ციფრებით, რადგან საუბრობდა ხარჯების ზრდაზე და ადარებდა მას რევოლუციამდელ პერიოდს. მე სწორედ ეს ვთხოვე, რომ ამ ორ მეთოდოლოგიას თავის ნებასურვილით ნუ იყენებდა და გამოეყენებინა მხოლოდ ერთი მეთოდოლოგია.

„მ.კ“: რატომ მიგაჩნიათ საეჭვოდ ბიუჯეტში დაფიქსირებული მაკროეკონომიკური პარამეტრები?

ლ.პ: მთავრობამ არაერთხელ განაცხადა და ეს გაიმეორა ფინანსთა მინისტრმაც საპარლამენტო ტრიბუნიდან, რომ 2008 წლიდან მოყოლებული ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი გასამმაგდება. ბუნებრივია, აქ დაიბადა ასეთი კითხვა, რომ როდესაც ბიუჯეტში მშპ-ს 6%-იანი ზრდაა ჩადებული, ხუთი წლის განმავლობაში მისი გასამმაგება როგორ უნდა მოხერხდეს. ამისთვის ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის წლიური საშუალო ტემპი უნდა იყოს 25%. ხოლო თუ პირველ წელს ჩადებულია 6%, შემდეგ წლებში უნდა იყოს 30%. ეს იმდენად ფანტასტიკური მაჩვენებლებია, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია და მაინტერესებს, ფინანსთა მინისტრს ან მთავრობას ეს როგორ წარმოუდგენია, როდესაც რეალური ზრდის ტემპი არის 6%? ამაზე კი ფინანსთა მინისტრმა ჩემთვის აბსოლუტურად მოულოდნელი პასუხი გამცა და დააფიქსირა, რომ, თურმე, მთავრობა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში გულისხმობს არა რეალური შიდა პროდუქის ზრდას, არამედ ნომინალური შიდა პროდუქტის ზრდას და თანაც დოლარში გამოხატულს. გასაგები რომ იყოს, ავხსნი, ეს რას ნიშნავს.

როდესაც ჩვენ გვინდა, ეკონომიკის ზრდა რეალურად შევისწავლოთ, ამ შემთხვევაში ფასების ცვლილებას გამორიცხავენ და უცვლელი ფასების პირობებში გაიანგარიშება მშპ-ის ზრდა. ის 6% კი, რაც ბიუჯეტშია ჩადებული, სწორედ უცვლელი ფასების პირობებშია დაგეგმილი. ხოლო თუ ფასების ცვლასაც გავითვალისწინებთ, ანუ მთავრობა რასაც გვთავაზობს, ეს უკვე ეკონომიკის ზრდას აღარ ნიშნავს, რადგანაც აქ უკვე ასახულია ინფლაციაც. ანუ, რეალურად ეკონომიკის ზრდა კი არ იქნება, არამედ პროცესი იქნება ინფლაციითაც გამოწვეული.

მაგრამ, უფრო უარესი, ფინანსთა მინისტრი კიდევ უფრო შორს წავიდა და თქვა, რომ ისინი, თურმე, არც ინფლაციის კომპონენტს სჯერდებიან და ეს ყველაფერი გაანგარიშებული იქნება უცხოურ ვალუტაში. როგორც წესი, ეკონომიკის ზრდა ეროვნულ ვალუტაში გამოიხატება, ვინაიდან ეკონომიკა ამ ვალუტის სივრცეში ფუნქციონირებს. როდესაც ის ამბობს, ჩვენ ეს ზრდა გამოხატული გვაქვს უცხოურ ვალუტაშიო, ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ ამ ზრდაში ითვალისწინებს არა რეალურად ზრდას, არამედ ინფლაციასაც და "პლიუს" გაცვლითი კურსის ცვალებადობასაც. ანუ მომდევნო წლების ბიუჯეტში ჩადებულია ლარის უფრო მეტი გამყარება და დოლარის კიდევ უფრო მეტი გაუფასურება.

იცით, ეს როგორი შეცდომაა? პირველი კურსის სტუდენტ ეკონომისტებს რომ არ ეპატიებათ და გამოცდაზე თუ ასეთ პასუხს გასცემს, ორიანს იმსახურებს.

ჩვენმა ფინანსთა მინისტრმა ეს არიცის, ისევე როგორც ძალიან ბევრი რამ. თქვენ, ალბათ, შეამჩნევდით, რომ სესიაზე მთელ რიგ კითხვებზე ის საჭიროებდა დახმარებას, როგორც მისი მოადგილეების მხრიდან, რომლებიც ყურში უჩურჩულებდნენ და ვითარებას უხსნიდნენ. ერთხელ ისეთი კურიოზული მომენტიც კი დადგა, რომ პრემიერ-მინისტრსაც კი დასჭირდა მისვლა ლა ჩაჩურჩულება, თუ როგორი პასუხი გაეცა.

„მ.კ“: რამდენად არის რეალური ის, რომ მომავალ წელს წლიური ინფლაცია მხოლოდ 8% დაფიქსირდეს?

ლ.პ: როდესაც დადო გურგენიძეს პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა, იმის გათვალისწინებით, რომ 2008 წლის ბიუჯეტი იქნებოდა სოციალურად ორიენტირებული და ძალიან დიდი ფულის მასა გამოვიდოდა ბაზარზე, მას ვკითხეთ, თუ მთავრობა როგორ მოუვლიდა ინფლაციას. მაშინ გურგენიძემ განაცხადა, რომ მთავრობა ინფლაციას ვერ ებრძვის, ეს არის ეროვნული ბანკის პრეროგატივა და მან შემოგვთავაზა ასეთი იდეა, რომ უნდა გაიზარდოს საბანკო სესხის განაკვეთიო. ანუ უნდა გაძვირდეს საბანკო სესხის პროცენტი და ამით ბაზარზე ნაკლები ფულის მასა გავაო. მაგრამ, ბიუჯეტის პროექტში იყო უფრო ნაკლები. 2007 წელს საბანკო სესხის პროცენტი იყო 21-ზე ცოტა მეტი, 2008 წელს იქნება 18%. ეს კითხვა დავსვი მთავრობის მიმართ, რომ თუ ეს ინსტრუმენტიც ექნებათ ხელიდან გამოცლილი, როგორ აპირებენ ინფლაციასთან ბრძოლას და გილაურის პასუხი იყო, რომ არ იცის, ეს ციფრები საიდან არის აღებული. თუმცა, ვიტყვი, რომ ეს ციფრები აღებულია ბიუჯეტის პროექტიდან და ფინანსთა მინისტრი ბიუჯეტის პროექტს უნდა იცნობდეს.

„მ.კ“: ამ ვითარებაში რეალურია თუ არა სოციალური პროგრამების განხორციელება?

ლ.პ: ამ შემთხვევაში მთავარია ის, თუ ლარის მსყიდველობითუნარიანობა როგორი იქნება. თორემ, ეს დაპირებები რომ შესრულდება, ცხადია. სხვა თუ არაფერი, ნუ დაგვავიწყდება, რომ მომავალ წელს არის საპარლამენტო არჩევნებიც და ყველას ენდომება, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოვიდეს. რაც შეეხება ინფლაციას, წელსაც ინფლაცია რეალურად იყო მაღალი და დაფიქსირდა გაცილებით დაბალი. მე არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი, სამწუხაროდ, არ არის დამოუკიდებელი და ის ასრულებს მთავრობის დაკვეთებს. ცხადია, ასეთ პირობებში, მომავალი წლის

ბოლოს 8%-იანი ინფლაცია იქნება ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაფიქსირებული. თუკი სტატისტიკის დეპარტამენტი გამოვა მთავრობის შემადგენლობიდან და შეეცდება ობიექტური რეალობის ასახვას, მაშინ მინდა, გითხრათ, რომ იმ პარამეტრებით, რომელიც მოცემულია ბიუჯეტში, სოციალური ხარჯების და იმავდროულად საგარეო სესხის შემცირების ფონზე 40%-იანი ინფლაცია ქვეყნისთვის უკვე კარგი შედეგი იქნება.

რუსიკო მაჩაიძე